# სტარტაპ დაფინანსების მექანიზმები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, საქართველოს პერსპექტივა

**ლუკა ზარქუა**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისაა და განათლების ფაკულტეტზე ფინანსების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფინანსები

ხელმძღვანელი: რევაზ გერაძე, პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2025**

# განაცხადი

*“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

*ლუკა ზარქუა 19.06.2025*

# აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია სტარტაპების დაფინანსების მექანიზმების კომპარატიული ანალიზი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, საქართველოს პერსპექტივის გათვალისწინებით. კვლევა ეყრდნობა მიდგომებს, რომელიც აერთიანებს რესურსებზე დაფუძნებულ ხედვას (RBV) ინსტიტუციურ თეორიასა და ინოვაციური სისტემების მიდგომას. აღნიშნული თეორიები ერთად ქმნიან ანალიტიკურ ბაზისს სტარტაპების განვითარების, დაფინანსების წყაროებისა და ეკოსისტემური გარემოს ურთიერთმიმართების უკეთ გასააზრებლად.

საკვლევი საკითხები მოიცავს შემდეგს: რა ინსტიტუციური და საბაზრო მექანიზმები მოქმედებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სტარტაპების დაფინანსების წასახალისებლად; რამდენად ეფექტიანია არსებული საგრანტო, საგადასახადო და ინვესტიციური ჩარჩო; რა ბარიერებს აწყდებიან სტარტაპები დაფინანსების მოპოვების პროცესში და როგორია საქართველოს შესაძლებლობები ამ კონტექსტში.

კვლევა ემყარება შერეულ მეთოდოლოგიას: რაოდენობრივი ნაწილი ეფუძნება საერთაშორისო ინდექსების, ღია მონაცემების და პოლიტიკის დოკუმენტების სამაგიდო კვლევას, ხოლო თვისებრივი ნაწილი ეფუძნება სიღრმისეულ ინტერვიუებს საქართველოს სტარტაპ ეკოსისტემის ათ წარმომადგენელთან, მათ შორის სახელმწიფო სააგენტოსა და ადგილობრივი სტარტაპების ლიდერებთან. ინტერვიუების ანალიზმა შესაძლებელი გახადა პრაქტიკული გამოცდილების შერწყმა თეორიულ ჩარჩოებთან.

შედეგების მიხედვით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სტარტაპ ეკოსისტემები ეფუძნება სახელმწიფოსა და დონორი ორგანიზაციების წამყვან როლს, მაშინ როცა კერძო კაპიტალის ჩართულობა შეზღუდულია. საქართველო რეგიონში გამოირჩევა გრძელვადიანი საგრანტო პროგრამებით, თუმცა ვენჩურული კაპიტალის ნაკლებობა და რეგულაციური გაუმჭვირვალობა მნიშვნელოვან დაბრკოლებებს წარმოადგენს სტარტაპ

ეკოსისტემისთვის. პარალელურად, სომხეთში და მოლდოვაში პოზიტიური ზეგავლენა მოაქვს პოლიტიკისა და საგადასახადო სტიმულების სტრუქტურულ რეფორმებს.

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ სტარტაპების დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში საჭიროებს ინსტიტუციური სტაბილურობის ზრდას, კერძო სექტორის გააქტიურებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას. საქართველოსთვის არსებულ გამოწვევებთან ერთად იკვეთება მნიშვნელოვანი შესაძლებლობები ინოვაციური პოტენციალის განვითარების, ექსპორტის ზრდისა და რეგიონული ჰაბის ჩამოყალიბების მიმართულებით.

**საძიებო სიტყვები**: სტარტაპი, დაფინანსების მექანიზმები, აღმოსავლეთ პარტნიორობა, ინოვაცია, კაპიტალის ბაზარი.

# Abstract

aim of this thesis is to conduct a comparative analysis of startup financing mechanisms in the Eastern Partnership countries, with a specific focus on Georgia's perspective. The research is grounded in a theoretical framework that integrates the Resource-Based View (RBV), Institutional Theory, and the Innovation Systems Approach. Together, these frameworks offer a comprehensive basis for understanding the interrelations among startup development, funding sources, and the broader ecosystem environment.

The core research questions address the institutional and market mechanisms in place to encourage startup financing across the region; the effectiveness of existing grant, tax, and investment frameworks; the barriers startups face in accessing financial resources; and Georgia's relative position and potential within this context.

The study adopts a mixed-methods approach. The quantitative component is based on desk research of international indexes, open datasets, and policy documents. The qualitative component involves in-depth interviews with ten representatives of Georgia's startup ecosystem, including officials from state agencies and founders of local startups. These interviews provided practical insights that were analyzed within the proposed theoretical framework.

The findings indicate that startup ecosystems in Eastern Partnership countries are predominantly shaped by state and donor-driven initiatives, with limited involvement from private capital. Georgia stands out for its long-term grant programs, yet the absence of a developed venture capital market and a lack of regulatory transparency pose significant obstacles. In contrast, Armenia and Moldova show positive developments through structural reforms in policy and tax incentives.

The study concludes that improving startup financing mechanisms in the region requires enhanced institutional stability, increased engagement from the private sector, and stronger international cooperation. For Georgia, while several challenges persist, notable opportunities exist for advancing innovative capacity, boosting exports, and positioning the country as a regional innovation hub.

**Key words**: startup, financing mechanisms, Eastern Partnership, innovation, capital market.